

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 14

ბასს 19 - დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის აქტივის მაქსიმალური მღვარი, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები და მათი ურთიერთქმედება

წყაროები

- ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.
- ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 19 – „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“.
- ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.

ამოსავალი ინფორმაცია

1. ბასს 19-ის 64-ე პუნქტის მიხედვით დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის აქტივის შეფასების თანხის ოდენობა შეზღუდულია და უნდა იყოს შემდეგი ორი სიდილიდან უმცირესი: დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის პროფიციტი და პროგრამის აქტივის მღვრული სიდიდე. ბასს 19-ის მე-8 პუნქტში პროგრამის აქტივის მღვრული სიდიდე განმარტებულია შემდეგნაირად: „იმ ეკონომიკური სარგებლის დისკონტირებული ღირებულება, რომელსაც საწარმო იღებს პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნების ფორმით, ან მომავალში პროგრამაში გადასარიცხი შენაგანების შემცირების სახით“. გაჩნდა კითხვა: როდის უნდა იყოს მიჩნეული შესაძლებლად პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნება ან მომავალში გადასახდელი შენაგანების შემცირება, კერძოდ, მაშინ, როდესაც მინიმალური დაფინანსების მოთხოვნა არსებობს.
 2. მრავალ ქვეყანაში არსებობს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოს უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, რომელიც ეძლევა დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების პროგრამის წევრებს. ასეთი მოთხოვნები, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს შენაგანების მინიმალურ სიდიდეს ან ღონეს, რომელიც შეგანილ უნდა იქნეს პროგრამაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამიგომ, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნამ შეიძლება საწარმოს შეუზღუდოს მომავალი შენაგანების შემცირების შესაძლებლობა.
 3. გარდა ამისა, დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის აქტივის მაქსიმალურმა მღვარმა შეიძლება გამოიწვიოს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის დამძიმება. ჩვეულებრივ, პროგრამაში შენაგანების გადახდის მოთხოვნა გავლენას არ მოახდენს დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის აქტივის ან ვალდებულების შეფასებაზე. ამის მიზეზია ის, რომ უკვე გადახდილი შენაგანები პროგრამის აქტივები გახდება და ამიგომ, დამატებითი წმინდა ვალდებულება ნულის გოლი იქნება. თუმცა, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნამ შეიძლება წარმოქმნას ვალდებულება, თუ მოთხოვნილი შენაგანები საწარმოსთვის ხელმისაწვდომი არ იქნება შენაგანების გადახდის შემდეგ.
- 3ა. 2009 წლის ნოემბერში ბულაღრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ ცვლილებები შეიგანა ფასიკ 14-ში, რათა აღმოეფხვრა წინასწარ განუმრაველი შედეგი,

რომელიც გამოიწვია მომავალი შენაგანების წინასწარ გადახდამ ზოგიერთ გარემოებაში, როდესაც არსებობს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნა.

მოქმედების სფერო

4. წინამდებარე ინტერპრეტაცია ეხება ყველა ტიპის შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოს და დადგენილგადასახდელიანი პროგრამის სხვა გრძელვადიან გასამრჯელოებს.
5. მოცემული ინტერპრეტაციის მიზნებისთვის, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები არის ნებისმიერი მოთხოვნები, რომლებიც ეხება შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოს ან მომუშავეთა სხვა გრძელვადიან გასამრჯელოების დაფინანსებას დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამაში.

განსახილველი საკითხები

6. ამ ინტერპრეტაციაში განხილულია შემდეგი საკითხები:
 - ა) როდის უნდა ჩაითვალოს შესაძლებლად პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნება ან მომავალში გადასახდელი შენაგანების შემცირება ბასს 19-ის 8-ე პუნქტში მოცემული, პროგრამის აქტივის ზღვრული სიდიდის განმარტების შესაბამისად;
 - ბ) რა გავლენა შეიძლება იქონიოს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნამ მომავალი შენაგანების შემცირების შესაძლებლობაზე;
 - გ) როდის შეიძლება წარმოქმნას მინიმალური დაფინანსების მოთხოვნამ ვალდებულება.

კონსენსუსი

პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნების ან მომავალი შენაგანების შემცირების შესაძლებლობა

7. საწარმომ თანხების დაბრუნების ან მომავალი შენაგანების შემცირების შესაძლებლობა უნდა განსაზღვროს პროგრამის პირობებისა და კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესაბამისად.
8. პროგრამიდან სახსრების დაბრუნების ან მომავალი შენაგანების შემცირების სახით ეკონომიკური სარგებლის მიღება მაშინ არის შესაძლებელი, თუ საწარმოს შეუძლია მისი განხორციელება პროგრამის მიმდინარეობისას გარკვეულ მომენტში, ან როდესაც პროგრამის ვალდებულებები დაიფარება. კერძოდ, ამგვარი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს იმის მიუხედავად, განხორციელებადია თუ არა იგი დაუყოვნებლივ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
9. შესაძლო ეკონომიკური სარგებელი დამოკიდებული არ არის იმაზე, თუ როგორ აპირებს საწარმო ჭარბი თანხის გამოყენებას. საწარმომ უნდა განსაზღვროს მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამიდან სახსრების დაბრუნების, მომავალი შენაგანების შემცირების ფორმით, ან ორივე შემთხვევაში. საწარმომ პროგრამიდან სახსრების დაბრუნებისა და მომავალი შენაგანების შემცირებით განპირობებული ერთობლივი ეკონომიკური სარგებელი არ უნდა აღიაროს ისეთი დაშვებების საფუძველზე, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავია.
10. ბასს 1-ის შესაბამისად, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გააშუქოს ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ისეთი განუსაზღვრელობის

შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ, რომელიც იწვევს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული წმინდა აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებითი უზუსტობის მნიშვნელოვან რისკს. ამ განმარტებებში შეიძლება ასევე შევიდეს ინფორმაცია პროგრამის ნამეგი სახსრების წარმოშობის შესაძლებლობის შემზღვევის შესახებ, ან შესაძლო ეკონომიკური სარგებლის სიდიდის დასადგენად გამოყენებული საფუძვლის შესახებ.

პროგრამიდან სახსრების დაბრუნების სახით არსებული ეკონომიკური სარგებელი

პროგრამის სახსრების დაბრუნების უფლება

11. პროგრამიდან სახსრების დაბრუნება საწარმოსათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, თუ მას გააჩნია თანხების დაბრუნების უპირობო უფლება:
 - ა) პროგრამის ვადის განმავლობაში, იმ პირობის გარეშე, რომ თანხების დასაბრუნებლად პროგრამის ვალდებულებები დაფარული იქნება (მაგალითად, ზოგიერთ იურისდიქციაში, საწარმოს შეიძლება გააჩნდეს თანხების დაბრუნებაზე უფლება პროგრამის მიმდინარეობისას, მიუხედავად იმისა, დაფარულია თუ არა პროგრამის ვალდებულებები); ან
 - ბ) თუ პროგრამის ვალდებულებების ეგაპობრივი დაფარვა მოხდება, სანამ ყველა წევრი დატოვებს პროგრამას; ან
 - გ) თუ პროგრამის ვალდებულებების სრული დაფარვა ერთჯერადი მოვლენა იქნება (ანუ როგორც პროგრამის დასრულება).

თანხების დაბრუნების უპირობო უფლება შეიძლება არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, პროგრამის დაფინანსების ნებისმიერ ღონებზე.

12. თუ საწარმოს უფლება პროგრამის ნამეგი თანხის დაბრუნებაზე დამოკიდებულია ერთი ან მეტი გაურკვეველი მომავალი მოვლენის მოხდენა-არმოხდენაზე, რომელიც სრულად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს, მაშინ საწარმოს არ გააჩნია თანხების დაბრუნების უპირობო უფლება და არ უნდა აღიაროს აქტივი.

ეკონომიკური სარგებლის შეფასება

13. საწარმომ შესაძლო ეკონომიკური სარგებელი (რომელმაც უფლება გააჩნია, მიიღოს როგორც პროგრამის თანხების დაბრუნება), როგორც თანხების დაბრუნება, უნდა შეაფასოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როგორც პროგრამის ნამეგი თანხა (პროგრამის აქტივების რეალურ ღირებულებას მინუს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულება), მინუს ნებისმიერი მასთან დაკავშირებული დანახარჯები. მაგალითად, თუ თანხების დაბრუნება მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადით დაბეგრას ექვემდებარება, საწარმომ დასაბრუნებელი თანხა უნდა შეაფასოს ამ გადასახადის გამორიცხვით.
14. როდესაც საწარმო ადგენს პროგრამის დამთავრებისას ხელმისაწვდომი დასაბრუნებელი თანხის სიდიდეს (პუნქტი 11 (გ)), საწარმომ უნდა გაითვალისწინოს პროგრამის ვალდებულებების დაფარვისა და თანხების დაბრუნების დანახარჯები. მაგალითად, საწარმომ უნდა გამოქვითოს პროფესიული მომსახურების ანაზღაურება, თუ მისი გადახდა მოხდა პროგრამის სახსრებიდან და არა საწარმოს მიერ, ასევე სადამზღვევო პრემიის დანახარჯები, რომლებიც შეიძლება მოთხოვნილი იყო ვალდებულების დასამზღვევად პროგრამის დასრულებისას.
15. თუ დასაბრუნებელი თანხის სიდიდე განისაზღვრება როგორც პროგრამის ნამეგის სრული თანხა, ან მისი პროპორციული რაოდენობა და არა როგორც წინასწარ დადგენილი

ფიქსირებული თანხა, საწარმომ არ უნდა გააკეთოს კორექტირება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად, თუნდაც თანხების დაბრუნება შესაძლებელი იყოს მხოლოდ მომავალში.

პროგრამის შენაგანის შემცირების სახით არსებული ეკონომიკური სარგებელი

16. თუ არ არსებობს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნა მომავალში გასაწევი მომსახურების შენაგანებისათვის, შესაძლო ეკონომიკური სარგებელი, როგორც მომავალი შენაგანების შემცირება იქნება საწარმოსათვის მომავალში გასაწევი მომსახურების დანახარჯი თითოეულ პერიოდში, იმ პერიოდის მიხედვით, რომელიც უფრო ხანმოკლეა პროგრამის მოსალოდნელ ხანგრძლივობასა და საწარმოს მოსალოდნელი არსებობის პერიოდს შორის. საწარმოს მომავალი მომსახურების დანახარჯი არ მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება თანამშრომლებთან.
17. საწარმომ მომავალში გასაწევი მომსახურების დანახარჯები უნდა განსაზღვროს ისეთი დაშვებების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დასადგენად გამოყენებულ დაშვებებს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ სიგუაცეას, როგორც დადგენილია ბასს 19-ით. ამგვარად, საწარმომ არ უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკური სარგებლის ისეთი ცვლილება, რომელსაც მომავალში მიიღებს პროგრამიდან, სანამ პროგრამა არ შესწორდება, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს სტაბილური სამუშაო ძალის არსებობა მომავალში, თუ საწარმო არ ამცირებს პროგრამის მონაწილე დაქირავებულ მომუშავეთა რაოდენობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მომავალი სამუშაო ძალის შესახებ დაშვებაში გაითვალისწინებული უნდა იყოს სამუშაო ძალის შემცირება.

მინიმალური დაფინანსების მოთხოვნების გავლენა მომავალი შენაგანების შემცირების სახით არსებულ ეკონომიკურ სარგებელზე

18. საწარმომ მოცემული თარიღისათვის შენაგანებთან მიმართებით უნდა გაანალიზოს მინიმალური დაფინანსების ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც განკუთვნილია (ა) მინიმალური დაფინანსების ბაზაზე წარსული მომსახურების ნებისმიერი არსებული დეფიციტისა და (ბ) მომავალში გასაწევი მომსახურების დასაფარად.
19. უკვე მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დეფიციტის დასაფარად განხორციელებული შენაგანები, დაფინანსების მინიმალურ ბაზაზე, გავლენას არ ახდენს მომავალში გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებულ მომავალ შენაგანებზე. 23-26-ე პუნქტების თანახმად, ამ შენაგანებმა შეიძლება განაპირობოს ვალდებულების წარმოშობა.
20. თუ არსებობს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნა შენაგანებისათვის, რომლებიც უკავშირდება მომავალში გასაწევ მომსახურებას, შესაძლო ეკონომიკური სარგებელი, როგორც მომავალი შენაგანების შემცირება, არის შემდეგი ორი სიდიდის ჯამი:
 - ა) თანხა, რომელიც ამცირებს მომავალში გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო მომავალ შენაგანებს იმის გამო, რომ საწარმომ წინასწარ გადაიხადა (ე.ი. თანხა იქამდე გადაიხადა, სანამ ამის გაკეთება მოეთხოვებოდა); და
 - ბ) თითოეულ პერიოდში მომავალში გასაწევი მომსახურების შეფასებული ღირებულება მე-16 და მე-17 პუნქტების შესაბამისად, მინუს მინიმალური დაფინანსების შესაბამისი შენაგანების შეფასებული ღირებულება, რომლის შეგანაც მოითხოვებოდა მომავალში

გასაწევ მომსახურებასთან მიმართებაში იმ პერიოდებში, თუ საწარმო წინასწარ არ გადაიხდიდა თანხას, როგორც ეს აღწერილია (ა) პუნქტში.

21. საწარმომ მომავალი მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის შესაბამისი შენაგანების შეფასება, რომლის გადახდა მოითხოვება მომავალში გასაწევ მომსახურებასთან მიმართებაში, უნდა განსაზღვროს პროგრამის ნებისმიერი არსებული ნამეგის გავლენის გათვალისწინებით, რომელიც გამოთვლილია მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის ბაზაზე, მაგრამ უნდა გამოაკლოს წინასწარ გადახდილი თანხა, რომელიც აღწერილია 20(ა) პუნქტში. საწარმომ უნდა გამოიყენოს ისეთი დაშვებები, რომლებიც შეესაბამება მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის საფუძველს, ხოლო ნებისმიერი ფაქტორისთვის, რომელიც დადგენილი არ არის მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის საფუძველით – ისეთი დაშვებები, რომლებიც შეესაბამება დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ სიგუაცას, როგორც დადგენილია ბასს 19-ში. საწარმომ შეფასების გამოთვლებში უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ცვლილება, რომლის წარმოქმნაც მოსალოდნელია შენაგანების გადახდის ვადის დადგომისას საწარმოს მიერ მინიმალური შენაგანების გადახდის მომენტში. თუმცა, შეფასებაში არ უნდა გაითვალისწინოს მინიმალური დაფინანსების საფუძველის ვადებსა და პირობებში მოსალოდნელი ისეთი ცვლილებების შედეგები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ფაქტობრივად მოქმედი ან ხელშეკრულებით შეთანხმებული.
22. როდესაც საწარმო განსაზღვრავს 20(ბ) პუნქტში აღწერილ თანხას, თუ მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის შესაბამისი მომავალი შენაგანები, რომლის გადახდაც მოითხოვება მომავალში გასაწევ მომსახურებასთან მიმართებით, აღემატება ბასს 19-ის მიხედვით განსაზღვრულ, მომავალში გასაწევი მომსახურების დანახარჯს ნებისმიერ მოცემულ პერიოდში, აღნიშნული ნამეგი ამცირებს იმ ეკონომიკური სარგებლის თანხას, რომელიც ხელმისაწვდომია მომავალი შენაგანების შემცირების სახით. ამასთან, 20(ბ) პუნქტში აღწერილი თანხა არასოდეს იქნება ნულზე ნაკლები.

როდის შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულების წარმოშობა მინიმალურის დაფინანსების მოთხოვნამ

23. თუ საწარმოს მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის მიხედვით შენაგანების გადახდის ვალდებულება გააჩნია, რათა მინიმალური დაფინანსების ბაზაზე დაფაროს უკვე მიღებულ მომსახურებასთან მიმართებაში არსებული დეფიციტი, საწარმომ უნდა განსაზღვროს, რა სახით იარსებებს გადასახდელი შენაგანები: როგორც პროგრამის თანხების დაბრუნება, თუ მომავალი შენაგანების შემცირება, მას შემდეგ, რაც პროგრამაში გადაიხდის გადასახდელ შენაგანებს.
24. იმ ოდენობით, რა სიდიდითაც გადასახდელი შენაგანები არ იქნება ხელმისაწვდომი საწარმოსთვის მას შემდეგ, რაც გადახდილი იქნება პროგრამაში, საწარმომ უნდა აღიაროს ვალდებულება წარმოშობისთანავე. ვალდებულებამ უნდა შეამციროს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა აქტივი, ან გაზარდოს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება. ასე, რომ არანაირი შემოსულობა ან გარე არ იქნება მოსალოდნელი ბასს 19-ის 64-ე პუნქტის გამოყენებისას, როდესაც შენაგანები გადახდილი იქნება.

25. [გაუქმებულია]

26. [გაუქმებულია]

ძალაში შესვლის თარიღი

27. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2008 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება.

- 27ა. ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) შეცვალა ფასს-ში გამოყენებული გერმინოლოგია. გარდა ამისა, განაპირობა 26-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს), იმავე პერიოდიდან უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.
- 27ბ. დოკუმენტმა – *მინიმალური დაფინანსების მოთხოვნის შესაბამისი თანხის წინასწარგადახდა* – განაპირობა 3ა პუნქტის დამატება და 16-18 და 20-22 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო მოცემულ ცვლილებებს 2011 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდებისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა განმარტოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- 27გ. ბასს 19-ის 2011 წლის შეცვლილმა ვერსიამ გამოიწვია 1-ლი, მე-6, მე-17 და 24-ე პუნქტების შეცვლა და 25-ე და 26-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 19-ის 2011 წლის შეცვლილ ვერსიას.

ინტერპრეტაციაზე გადასვლა

28. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს პირველი პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც წარდგენილია პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც ინტერპრეტაცია ეხება. საწარმომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენებით გამოწვეული ნებისმიერი საწყისი კორექტირების თანხა უნდა აღიაროს გაუნაწილებელ მოგებაში, მოცემული პერიოდის დასაწყისში.
29. საწარმომ 3ა, 16-18 და 20-22 პუნქტებში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოიყენოს პირველი შესადარისი პერიოდიდან, რომელიც წარდგენილია პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც საწარმო იყენებს მოცემულ ინტერპრეტაციას. თუ საწარმო ინტერპრეტაციას უფრო ადრე გამოიყენებს, ვიდრე მოცემულ ცვლილებებს, მან პირველი წარდგენილი შესადარისი პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში უნდა აღიაროს კორექტირების თანხა, რომელიც გამოიწვია ზემოაღნიშნული ცვლილებების გამოყენებამ.
-